ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 2

ქ. ონი 20. 02. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი: სერგო ლობჯანიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, ლევან ორდინიძე.

არ ესწრებოდნენ : თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი .ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ და განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულო ვალდებულია, ყოველწლიურად, არაუგვიანეს თებერვლისა, განსაზღვროს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, ამ ეტაპზე ცვლილება არსებულ ფასში არ ხდება და მტკიცდება უკვე განსაზღვრული ფასი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ ქ. ონში რაჭის მუზეუმის ახალი შენობის სათანადო მოვლა-პატრონობისათვის საჭიროა, გამოიყოს სამი საშტატო ერთეული-ერთი ტექნიკური მუშაკი და ორი დარაჯი. შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობას უნდა დაემატოს ერთი ტექნიკური მუშაკის და ორი დარაჯის პოზიცია.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე